ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 29 დეკემბრის სხდომის

ოქმი N24

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი **N 24**

ქ. ხონი **29** დეკემბერი, **2021** წელი

2021 წლის 29 დეკემბერს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. სხდომას საკრებულოს 30 წევრიდან ესწრებოდა: გელა ჩოგოვაძე, არჩილ საღარაძე, ზურაბ მიქაძე, ზაზა რუხაძე, გურამ ბახტაძე, დემურ სულაბერიძე, ზაზა ვაშაკიძე, კახა ფირცხალავა, ბაჩანა ბასილაია, მაკა ტაბიძე, ამირან კაშია, ია სულუხია, ნინო კუხალაშვილი, ლია ღაჭავა, შორენა კაკაბაძე, ლაშა გედენიძე, შორენა ჭოლოკავა, ფრიდონ ჩიხლაძე, მაია სულაბერიძე.

სხდომა დაიწყო: 12 საათზე.
სხდომა დასრულდა: 13 საათზე.

დღის წესრიგი:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.**
   მომხსენებელი: ზურაბ მიქაძე - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
2. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.**
   მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.
3. **ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.**
   მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე __ 17
წინააღმდეგი___არცერთი
მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრების

ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო ზურაბ მიქაძემ იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი: „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დემურ სულაბერიძემ. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო ლევან ჩიხლაძემ - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ვალერი ბახტაძე**

სხდომის მდივანი: **ნათია ქურასბედიანი.**